ოქმი:**ო05.37211391**
თარიღი:**19/05/2021**

№ 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2021 წელი, 5 აპრილი

ქ.ოზურგეთი

11.00-11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ეროდი გორდელაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ლ.სიჭინავა, მ.ბერიძე, ბ.დოლიძე, ვ.ნიჟარაძე, ვ.ჩხაიძე, თ.ბურჭულაძე, ტ.მგელაძე, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, პ.კიღურაძე, ვ.ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორცელებული შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ე. გორდელაძე

თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ე. გორდელაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესისის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ე. გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორცელებული შესყიდვების შესახებ, ხოლო უფრო ვრცლად მათზე ისაუბრა

თანამომხსენებელმა-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გ.მამაკაიშვილმა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წინადადებას- ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

სხდომის თავჯდომარემ ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს ასევე მოახსენა, რომ კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილებების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ პროექტებზე და მხარი დაუჭირეს მათ წარდგენას სხდომაზე განსახილველად.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას სხდომაზე განსახილველად.

ეროდი გორდელაძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე